

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და რუსეთის ურთიერთობების ეკონომიკური განზომილება

მიხეილ უკლება, ნუკრი თავაძე *

აბსტრაქტი

რუსეთის მიერ წარმოებულმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ, აზერბაიჯან-სომხეთსა და სომხეთ-თურქეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესმა შექმნეს ახალი დღის წესრიგი შავი ზღვის რეგიონში. ახალი დღის წესრიგით უფრო მნიშვნელოვანი გახდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის, რუსეთთან, რომელსაც უშუალოდ ესაზღვრება რეგიონის ორი ქვეყანა – აზერბაიჯანი და საქართველო.

შესავალი

მოსალოდნელია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამჟამად მიმდინარე სამშვიდობო პროცესში აზერბაიჯან-სომხეთის და თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზაცია მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს რეგიონში თანამშრომლობის განვითარებას და სარგებლის მომტანი იქნება სამივე ქვეყნისთვის, როგორც ვაჭრობის, ტურიზმისა და ტვირთნაკადების ზრდის, ისე – მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვის კუთხითაც, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობას. ამასთან, რუსეთის მიერ წარმოებულმა ომმა უკრაინაში, დაპირისპირებამ დასავლეთთან და, აქედან გამომდინარე, მის წინააღმდეგ შემოღებულმა საერთაშორისო სანქციებმა, მკვეთრად შეზღუდეს რუსეთზე გამავალი ტვირთნაკადების მოცულობა და კიდევ უფრო გაიზარდა აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი, ევროპაზე გამავალი საერთაშორისო ტრანსკასპიური (შუა) სატრანსპორტო-ლოგისტიკური დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობა, რომელიც რუსეთის გვერდს უვლის და გადის სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებზე, ჩინეთსა და თურქეთზე. ამ ფონზე ფრიად მნიშვნელოვანია თუ როგორ ვითარდებოდა ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან, რომელთანაც დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან რეგიონის სამივე ქვეყანა სხვადასხვა ინტენსივობით ავითარებდა.

* მიხეილ უკლება – ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი; ნუკრი თავაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის დეპარტამენტის II მდივანი.

აზერბაიჯანი-რუსეთი

აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობა რუსეთთან

2020-2023 წწ.

(მლნ აშშ დოლარი)

წლები	2020			2021			2022			2023		
	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი
	2 671	709	1 962	2 995	921	2 074	3 710	975	2 735	4 358	1 196	3 162

2023 წელს აზერბაიჯანის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ რუსეთთან 4 358 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით გაიზარდა 17.5%-ით. რუსეთს ამ მაჩვენებლით აზერბაიჯანის სავაჭრო პარტნიორებს შორის მესამე ადგილი უკავია. ექსპორტმა შეადგინა 1 196 მლნ აშშ დოლარი და წინა წელთან შედარებით გაიზარდა 22.7%-ით. ამ მაჩვენებლით რუსეთი აზერბაიჯანის პარტნიორებს შორის მეექვსე ადგილზეა. ხოლო იმპორტმა შეადგინა 3 162 მლნ აშშ დოლარი და ზრდა 15.6% იყო. ამ მაჩვენებლით რუსეთი პირველ ადგილზეა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელს აზერბაიჯანს რუსეთთან უარყოფითი სავაჭრო სალდო ჰქონდა, სახელდობრ, – -1 966 მლნ აშშ დოლარი.¹

ტურიზმი

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უცხოელ ვიზიტორთა შორის რუსეთის მოქალაქეებს ტრადიციულად პირველი ადგილი უჭირავთ. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის გარემოება, რომ რუსეთში ბევრი ეთნიკური აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რომლებიც პერიოდულად ჩამოდიან ისტორიულ სამშობლოში. 2023 წელს აზერბაიჯანს ესტუმრა 625 ათასი ვიზიტორი რუსეთიდან და ზრდამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 39.9%. ხოლო რუსეთის ხვედრითმა წილმა ვიზიტორების საერთო რაოდენობაში შეადგინა 29.9%.² საინტერესოა აღინიშნოს, რომ წელს (2024 წლის იანვარი-მარტი) აზერბაიჯანს ეწვია 147 375 რუსი ვიზიტორი, რაც ვიზიტორთა საერთო რაოდენობის 28.7%-ს შეადგენს.³

ამასთან, აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, ამ მაჩვენებლის გაზრდას ხელი შეუშალა იმან, რომ აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრები 2020 წლის მარტიდან დღემდე ჩაკეტილია (COVID-19 პანდემიის მიზეზით). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის მოქალაქეებს, ისევე, როგორც ბევრი სხვა ქვეყნის მოქალაქეებს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე უვიზოდ ყოფნის უფლება მხოლოდ 90 დღის განმავლობაში აქვთ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2023 წელს რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა აზერბაიჯანში წინა წელთან შედარებით გაიზარდა 19%-ით და შეადგინა 617 მლნ აშშ დოლარი. 2023 წელს აზერბაიჯანში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, რუსეთს უკავია მეოთხე ადგილი.⁴ თავის მხრივ, 2023

წლის 9 თვის (იანვარი-სექტემბერი) პერიოდში აზერბაიჯანმა რუსეთში 33.4 მლნ აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი ინვესტიცია განახორციელა.

ფულადი გზავნილები

2023 წელს რუსეთიდან აზერბაიჯანში ფულადი გზავნილების მოცულობამ 1 047 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2.8-ჯერ ნაკლებია წინა წელთან შედარებით.⁵ თავის მხრივ, 2023 წელს აზერბაიჯანიდან რუსეთში გადაირიცხა 74.2 მლნ აშშ დოლარი და წინა წელთან შედარებით 21.9%-ით შემცირდა.

დღეისათვის აზერბაიჯანთან საგარეო ვაჭრობის სფეროში ჩართულია 600-მდე რუსეთის როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კომპანია. გარდა ამისა, რუსეთის 18 რეგიონს გაფორმებული აქვს შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ; რეგულარულად ტარდება რუსეთ-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის სხდომები და რეგიონული ფორუმები. დღეს რუსეთი წარმოადგენს აზერბაიჯანის ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო პარტნიორს, აწვდის აზერბაიჯანს მარცვლეულ კულტურებს (ხორბალი, სიმინდი), სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს და საკვებ პროდუქტებს, მანქანებს და დანადგარებს, სატრანსპორტო საშუალებებს, მეტალებს და მათგან ნაწარმოებ ნაკეთობებს, ბუნებრივ აირს, ხე-ტყეს.

აზერბაიჯანში მოქმედებს ათასზე მეტი რუსული კომპანია და ერთობლივი საწარმო, მათ შორის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სფეროებში. აღსანიშნავია, რომ რუსული კომპანიების მიერ აზერბაიჯანულ პროექტებში განხორციელდა 4 მლრდ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია, ხოლო თავის მხრივ აზერბაიჯანმა განახორციელა 1 მლრდ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია რუსეთში.⁶

დღეს რუსეთიდან აზერბაიჯანზე გადის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი „ჩრდილოეთი-სამხრეთი“. ეს არის მულტიმოდალური მარშრუტი სანქტ-პეტერბურგიდან ინდოეთის პორტ მუმბაიმდე და მისი სიგრძე 7.2 ათასი კილომეტრია. არსებობს ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის სამი მარშრუტი: ტრანსკასპიური (რკინიგზისა და პორტების გამოყენებით), აღმოსავლეთის მარშრუტი (ყაზახეთ-თურქმენეთის გავლით) და დასავლეთისა (აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით). საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის პროექტს აზერბაიჯანი შეუერთდა 2005 წელს, როგორც სრულფასოვანი პარტნიორი.

დღეისათვის, საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ დასავლეთის მარშრუტის აზერბაიჯანის რკინიგზის მონაკვეთი უკვე მწყობრშია; დარჩენილია ირანის მონაკვეთის მშენებლობა.

2023 წლის 17 მაისს რუსეთმა და ირანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს რემთ-ასტარის 162-კილომეტრიანი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობას, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ჩრდილოეთი-სამხრეთის სახმელეთო მონაკვეთებს. შეთანხმების მიხედვით, რუსეთმა ირანს პროექტის რეალიზაციისთვის 1.3 მლრდ აშშ დოლარი უნდა გამოუყოს (პროექტის მთლიანი ღირებულებაა 1.6 მლრდ აშშ დოლარი) ხოლო მის რეალიზაციას 5 წელი დასჭირდება. რუსეთის მთავრობა თვლის, რომ პროექტი შეიძლება

გახდეს სუფიციენტის არხისა და ბოსფორის სრუტის ალტერნატივა, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთების მიწოდებას ტრანზიტით როგორც ევროპაში, ისე – რუსეთიდან ინდოეთამდე სპარსეთის ყურის გავლით. საინტერესოა, რომ რუსეთ-ინდოეთის სავაჭრო ბრუნვამ 2023 წელს შეადგინა 64 მლრდ აშშ დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, იემენელი ჰუსიტების მხრიდან სავაჭრო გემებზე სარაკეტო თავდასხმების შედეგად გამოწვეულმა წითელი ზღვის კრიზისმა გლობალური ეკონომიკის ზრდა 2024 წლის ბოლოსთვის შესაძლოა 2.8%-მდე შეამციროს.⁷

2024 წლის მარტში რუსეთის პრემიერ-მინისტრის, მიხეილ მიშუსტინის აზერბაიჯანში სამუშაო ვიზიტის დროს გამოითქვა, რომ 2030-2031 წლებში, აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლით, დერეფნის „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ დასავლეთის მარშრუტზე უნდა გაიაროს 30 მლნ ტონამდე მოცულობის ტვირთებმა.

აზერბაიჯანი ფრიად დაინტერესებულია სომხეთის ტერიტორიაზე გამავალი ზანგეზურის (სიუნიქის) სახმელეთო დერეფნის პროექტის რეალიზაციით, რომელიც მას დააკავშირებს თავის ექსკლავთან, ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკასთან. ალტერნატივად ასევე განიხილება ირანის ტერიტორიიდან გამავალი მარშრუტი „არაქსის დერეფანი“. დღეისათვის, აზერბაიჯანიდან ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახვედრად, რომელიც ესაზღვრება თურქეთს, უნდა გაიაროს 700 კმ ირანის გავლით, ან 1200 კმ – საქართველოსა და თურქეთის გავლით.⁸

საქართველო-რუსეთი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა, საქართველოსა და რუსეთს შორის დღემდე გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები. 2008 წლიდან შვეიცარიის საელჩოში მოსკოვში მოქმედებს საქართველოს ინტერესთა სექცია და თბილისში შვეიცარიის საელჩოში რუსეთის ინტერესების სექცია. დიალოგი ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობს ჟენევის მრავალმხრივი მოლაპარაკებების (60 შეხვედრა) და პრადის ორმხრივი მოლაპარაკებების (26 შეხვედრა) ფორმატით. ჟენევის მრავალმხრივი ფორმატი (რუსეთი, საქართველო, გაერო, ეუთო, ევროკავშირი, აშშ), სამწუხაროდ, უშედეგოა რუსეთის მხრიდან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკური ნების არარსებობისა და დესტრუქციული ქმედებების გამო, ხოლო პრადის ორმხრივი (რუსეთი-საქართველო) ფორმატის შემთხვევაში აღდგა ეკონომიკური ურთიერთობები, ტრანსპორტი, ტურიზმი და ამოქმედდა უვიზო რეჟიმი.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა რუსეთთან

2020-2023 წწ.

(მლნ აშშ დოლარი)

წლები	2020			2021			2022			2023*		
	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი
	1 329.6	441.1	888.4	1 633.2	610.1	1 023.2	2 478.1	642.4	1 835.6	2 401.5	657.0	1 744.5

2023 წელს საქართველო-რუსეთს შორის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (წინასწარი მონაცემები) 2401 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 3.6 პროცენტით შემცირდა, ხოლო

რუსეთის ხვედრითმა წილმა მთლიან სავაჭრო ბრუნვაში შეადგინა 11.2 პროცენტი. ბრუნვის მაჩვენებლის მიხედვით, რუსეთი მეორე ადგილზეა თურქეთის შემდეგ. 2023 წელს საქართველოს ექსპორტმა რუსეთში 657 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და გაიზარდა 2.3%-ით. ხოლო ხვედრითმა წილმა მთლიან ექსპორტში 10.8% შეადგინა. ამ მაჩვენებლით რუსეთი საქართველოს მთლიან ექსპორტში მეხუთე ადგილზეა. ამასთან, რუსეთიდან საქართველოში იმპორტმა 1 745 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით შემცირდა 5%-ით. ხოლო ხვედრითმა წილმა მთლიან იმპორტში შეადგინა 11.3%. ამ მაჩვენებლით რუსეთს საქართველოს მთლიან იმპორტში მესამე ადგილი უკავია. საქართველოს რუსეთთან ვაჭრობაში უარყოფითმა სალდომ შეადგინა -1 087.4 მლნ. აშშ დოლარი.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები შედგებოდა: ყურძნის ნატურალური ღვინოების, სპირტიანი სასმელების, მსუბუქი ავტომობილების, მინერალური და მტკნარი წყლებისგან. ხოლო იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები შედგებოდა: ნავთობის და ნავთობპროდუქტების, ნავთობის აირების და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადების, ნახშირბადიანი ფოლადისგან დამზადებული წნელების, ხორბლისა და მესლინის, ბოცების, ბოთლების და მინის სხვა ტევადობებისგან.⁹ უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ ბაზარზე მაღალი დამოკიდებულებით კვლავ ქართული ღვინის ექსპორტი გამოირჩევა. 2023 წელს რუსეთში ღვინის ექსპორტი წინა წელთან შედარებით 5%-ით გაიზარდა და 168 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. რუსეთის ხვედრით წილს საქართველოს ღვინის ექსპორტში 69% უჭირავს, რაც 2005 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.¹⁰

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 1 აგვისტოდან საქართველოს მთავრობამ აშშ-დან შემოყვანილი ავტომობილების რუსეთში რეექსპორტი აკრძალა. იმავე წლის 26 სექტემბრიდან, მსგავსი აკრძალვა ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოყვანილი ავტომობილების რეექსპორტზეც გავრცელდა. საქართველოს მთავრობის ეს გადაწყვეტილება აშშ და ევროკავშირის მიერ რუსეთზე დაწესებული საერთაშორისო სანქციების გამკაცრებით იქნა განპირობებული.¹¹

ტურიზმი

2023 წელს საქართველოში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა რუსეთიდან და შეადგინა 1 418 000 ადამიანი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 30.5%-ით მეტია.¹² ამასთან, საქართველომ რუსეთიდან შემოსული ტურისტებისგან შემოსავლის სახით 916 მლნ აშშ დოლარი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს რუსული კომპანიები საქართველოში 127 ათასზე მეტ მგზავრს მოემსახურა, რაც ნიშნავს იმას, რომ 2023 წელს რუსული ავიაკომპანიების წილი მთლიან მაჩვენებელში ჯამში მხოლოდ 3%-ს შეადგენდა.¹³

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

რუსეთის პირდაპირმა ინვესტიციებმა 2023 წელს შეადგინა 87.6 მლნ აშშ დოლარი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 19%-ით. ამ მაჩვენებლით საქართველოს უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს შორის რუსეთი მეხუთე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მიემართა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობისა და უძრავი ქონების სფეროში.¹⁴

ფულადი გზავნილები

2023 წელს რუსეთიდან საქართველოში გადმოირიცხა 1.527 მლრდ აშშ დოლარის ფულადი გზავნილები, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 26%-ით ნაკლებია, თუმცა 2021 წლის მაჩვენებელს 3.7-ჯერ აღემატება. 2023 წელს საქართველოში ფულადი გზავნილების მიხედვით რუსეთი პირველ ადგილზეა.¹⁵

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს საქართველომ რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობით, ტურიზმით და საქონლის ექსპორტით მიიღო სულ 3.1 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი, რაც 2022 წლის მაჩვენებელზე 13%-ით ნაკლებია.

2022-23 წლებში საქართველოში რეგისტრირებული 26 529 რუსული კომპანიიდან, 2022 წელს 14 977 რუსული კომპანია დარეგისტრირდა, ხოლო 2023 წელს – 11 552, აქედან რეგისტრირებული მხოლოდ 4 276 რუსული კომპანიის საქმიანობის სფეროა ცნობილი, საიდანაც 3 107 კომპანია (73%) საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობს. შემდეგ მოდის დიზაინერული და სარეკლამო საქმიანობების სფერო, სადაც ამ ეტაპზე 231 კომპანიაა იდენტიფიცირებული. ვაჭრობაში 170, რესტორნების და სასტუმროების სფეროში 157, ხოლო განათლების, ხელოვნების და გართობის სფეროში 155 კომპანიაა. აღნიშნული კომპანიების 96% ინდივიდუალური მეწარმეა, რაც მიანიშნებს, რომ რუსეთის მოქალაქეების ნაწილი საქართველოში ხანგრძლივად საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად ჩამოვიდა.¹⁶

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოში ბიზნესსუბიექტის რეგისტრაციის დროს მომავალი საქმიანობის სფერო არ მიეთითება. თუმცა, როდესაც კომპანია საქმიანობას იწყებს, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მისი საქმიანობის სფერო საქართველოს სტატისტიკური სამსახურისთვის ცნობილი ხდება.

ამასთან აღსანიშნავია, 2022 წელს რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში შეიძინეს 6 062 ბინა (მყიდველთა რაოდენობა 4 520 ადამიანი) და ამ მაჩვენებლით რუსეთი პირველ ადგილზეა, ხოლო 2023 წლის პირველ კვარტალში (იანვარი-მარტი) რუსეთის მოქალაქეებმა შეიძინეს 2 187 ბინა (მყიდველთა რაოდენობა 1 679) და ამ მაჩვენებლითაც რუსეთი პირველ ადგილზეა.¹⁷

სომხეთი-რუსეთი

სომხეთის საგარეო ვაჭრობა რუსეთთან

2020-2023 წწ.

(მლნ აშშ დოლარი)

წლები	2020			2021			2022			2023		
	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი
	2 157	680	1 477	2 626	841	1 785	5 100	2 463	2 637	7 306	3 419	3 887

2023 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვა სომხეთსა და რუსეთს შორის გაიზარდა 43%-ით და შეადგინა 7 306 მლნ აშშ დოლარი. ხოლო რუსეთის ხვედრითმა წილმა სომხეთის საგარეო ვაჭრობის მთლიან ბრუნვაში შეადგინა 35.3%. სომხეთის ექსპორტი გაიზარდა 39%-ით და შეადგინა 3 419 მლნ აშშ დოლარი, ხოლო ხვედრითმა წილმა მთლიან ექსპორტში შეადგინა 40.6%. იმპორტი გაიზარდა 47.5%-ით და შეადგინა 3 887 მლნ აშშ დოლარი, ხოლო რუსეთის ხვედრითმა წილმა მთლიან იმპორტში შეადგინა 31.6%. აღსანიშნავია, რომ სომხეთის სავაჭრო ბრუნვის, ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებში რუსეთი პირველ ადგილზეა. 2023 წელს სომხეთს უარყოფითი სალდო ჰქონდა რუსეთთან, რომელმაც შეადგინა -469 მლნ აშშ დოლარი. რუსეთში სომხეთის ექსპორტის ძირითადი ჯგუფი შედგებოდა შემდეგი კატეგორიებისგან: სატელეფონო აპარატები მობილური და სხვა კავშირებისთვის, ალმასები, ალკოჰოლური სასმელები, მონიტორები და პროექტორები, რკინის შენადნობები. ხოლო რუსეთიდან სომხეთში იმპორტის ძირითად ჯგუფში შედიოდა: ოქრო, სილა, ბუნებრივი და თხევადი გაზი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, პლატინა.¹⁸

ტურიზმი

2023 წელს სომხეთს ეწვია 1 139 853 ვიზიტორი და ზრდამ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შეადგინა 32%. რუსეთის ხვედრითმა წილმა შეადგინა 49.2%. ვიზიტორების რაოდენობით რუსეთი პირველ ადგილზეა.¹⁹

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2023 წლის იანვარ-მარტის პერიოდში რუსეთიდან სომხეთში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 100.8 მლნ აშშ დოლარი და გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 3.2-ჯერ. ხოლო 2022 წელს რუსეთიდან სომხეთში განხორციელდა 249.6 მლნ აშშ დოლარის მოცულობის პირდაპირი ინვესტიციები.²⁰

დღეისათვის სომხეთში სხვადასხვა სფეროში მუშაობს 40-მდე მსხვილი რუსული კომპანია. აღსანიშნავია, რომ რუსეთსა და სომხეთს შორის ანგარიშსწორებაში რუსული რუბლის წილი შეადგენს 90.3%-ს. 2022 წელს სომხეთში რუსეთის მოქალაქეების მიერ დარეგისტრირებული იქნა 2 500 კომპანია.

ფულადი გზავნილები

2023 წელს რუსეთიდან სომხეთში გადარიცხულმა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 3 946 მლნ აშშ დოლარი და გაიზარდა წინა წელთან შედარებით 9.7%-ით, რაც სომხეთში მთლიანი ფულადი გადარიცხვების 69.3%-ს შეადგენს. ამასთან, 2023 წელს სომხეთიდან რუსეთში გადარიცხა 641 მლნ აშშ დოლარი და რუსეთის წილმა სომხეთის მთლიან გადარიცხვებში შეადგინა 11.4%, ზრდა 41.6% იყო. აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილებით სომხეთიდან რუსეთში და პირიქით რუსეთი პირველ ადგილზეა.²¹

მომავალში აზერბაიჯანთან და თურქეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი სომხეთს მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოიყენოს სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო-ლოგისტიკური პოტენციალი და ჩაერთოს სამხრეთ კავკასიაზე გამავალ სატრანსპორტო-ლოგისტიკურ დერეფნებში. ამასთან დაკავშირებით, სომხეთმა წარმოადგინა სატრანსპორტო-ლოგისტიკური პროექტი „მსოფლიოს გზაჯვარედინი“, რომელშიც აღწერილია კომუნიკაციების განვითარება

სომხეთს, თურქეთს, აზერბაიჯანსა და ირანს შორის. პროექტით განსაზღვრულია ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნა, რისთვისაც საჭიროა, აღდგენილ იქნეს და აშენდეს ახალი საავტომობილო-სარკინიგზო გზები, გაყვანილი იქნეს მილსადენები, ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემა და ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებზეც გავრცელდება სომხეთის იურისდიქცია და უზრუნველყოფილი იქნება სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი უსაფრთხოების სრული დაცვით.

სომხეთი მზად არის, მოაწიოს 7 საკონტროლო-გამშვები პუნქტი აზერბაიჯანთან და თურქეთთან საზღვრებზე, ასევე დაიწიოს 130 კმ სიგრძის რკინიგზის 4 მონაკვეთის აღდგენა, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს სომხეთს, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის, მათ შორის აზერბაიჯანსა და მის ექსკლავს, ნახჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პროექტი ფრიად მოგებიანი იქნება სომხეთისთვის, რომელსაც სატრანსპორტო ბლოკადის პრობლემა აქვს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, სომხეთ-რუსეთს შორის გართულებული ურთიერთობების ფონზე, სომხეთი ცდილობს რუსეთთან დისტანცირებას და ღიად აფიქსირებს თავის პროდასავლურ კურსს. სომხეთმა შეაჩერა თავისი წევრობა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (კუხო), ასევე, გადაწყვეტილია ამ ეტაპზე რუსი მესაზღვრეების გასვლა სომხეთის ტერიტორიიდან აზერბაიჯანთან მოსაზღვრე 5 ოლქიდან და ერევნის საერთაშორისო აეროპორტიდან. რუსი მესაზღვრეები დღემდე რჩებიან სომხეთ-თურქეთის და სომხეთ-ირანის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთებზე. რაც შეეხება სომხეთის ტერიტორიაზე არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზას გიუმრიში (შეთანხმების შესაბამისად, უნდა იმყოფებოდეს 2044 წლამდე), ამ ეტაპზე მისი გასვლის საკითხი არ განიხილება.²²

სამხრეთი კავკასია და რუსეთი

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო ვაჭრობა რუსეთთან
(მლნ აშშ დოლარი)

	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი
აზერბაიჯანი	4 358	1 196	3 162
საქართველო	2 401	657.0	1 744. 5
სომხეთი	7 306	3 419	3 887

2023 წელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მთლიანმა სავაჭრო ბრუნვამ რუსეთთან შეადგინა 14 065 მლნ აშშ დოლარი და წინა წელთან შედარებით გაიზარდა 24.6%-ით, აქედან მთლიანმა ექსპორტმა რუსეთში შეადგინა 5 272 მლნ აშშ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 29%), ხოლო მთლიანმა იმპორტმა რუსეთიდან – 8 794 მლნ აშშ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით 21.6%-ია).

რუსეთთან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მთლიან ვაჭრობაში ბრუნვით ექსპორტსა და იმპორტში პირველ ადგილზე სომხეთია, მეორეზე – აზერბაიჯანი, ხოლო მესამეზე – საქართველო. ამასთან, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანას უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს რუსეთთან, მათ შორის,

ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი (-1 966 მლნ აშშ დოლარი), მეორეზე - საქართველო (-1 087 მლნ აშშ დოლარი) და მესამეზე – სომხეთი (-469 მლნ აშშ დოლარი).

ტურიზმი

2023 წელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რუსეთიდან 3 183 ათასი საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 32.7%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. რუსეთიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ტურიზმის მაჩვენებლით პირველ ადგილზეა საქართველო (1 418 ათასი ადამიანი), მეორეზე – სომხეთი (1 140 ათასი ადამიანი) და მესამეზე – აზერბაიჯანი (625 ათასი ადამიანი).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2023 წელს, რუსეთის პირდაპირი ინვესტიციების მოცულობის მიხედვით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პირველ ადგილზეა აზერბაიჯანი (295 მლნ აშშ დოლარი), მეორეზე 2023 წლის იანვარ-მარტის პერიოდის მონაცემით – სომხეთი (100.8 მლნ აშშ დოლარი), ხოლო მესამეზე – საქართველო (87.6 მლნ აშშ დოლარი).

ფულადი გზავნილები

2023 წელს მთლიანმა ფულადმა გზავნილებმა რუსეთიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შეადგინა 6 520 მლნ აშშ დოლარი და წინა წელთან შედარებით შემცირდა 24.5%-ით. 2023 წელს ფულადი გზავნილების მიხედვით პირველ ადგილზეა სომხეთი (3 946 მლნ აშშ დოლარი), ზრდა წინა წელთან შედარებით 9.6%-ია, მეორეზე – საქართველო (1 527 მლნ აშშ დოლარი), კლებამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 26.2%, ხოლო მესამე ადგილზეა აზერბაიჯანი (1 047 მლნ აშშ დოლარი), კლებამ წინა წელთან შედარებით შეადგინა 64.7%.

დასკვნა

როგორც რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზმა გვიჩვენა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები კრიტიკულად დამოკიდებულნი არიან რუსეთის ბაზარზე, რაც საფრთხის შემცველია, რადგან ხშირად რუსეთი პოლიტიკურ იარაღად იყენებს ეკონომიკურ ბერკეტებს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ამიტომ, რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოების კონტექსტიდან გამომდინარე და რუსეთის ბაზარზე კრიტიკული დამოკიდებულების შემცირების მიზნით, საჭიროა, გადაიდგას რიგი ნაბიჯები, მათ შორის:

- ექსპორტის და იმპორტის დივერსიფიკაცია, მათ შორის, სტრატეგიულ მიმართულებებზე დამოკიდებულების ხარისხის შემცირება;
- საექსპორტო და საიმპორტო პოტენციალის ზრდა;
- ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქტების შექმნა და პერსპექტიული ბაზრების ათვისება;
- თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმება მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორებთან;
- მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელება საერთაშორისო თანამეგობრობასთან რუსეთის მიმართ შემოღებული სანქციების აღსრულების ნაწილში.

ამასთან, დღეისათვის რუსეთისთვის „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ საერთაშორისო დერეფნის განვითარების გარდა, ასევე ფრიად მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიაზე გამავალ სხვა სატრანსპორტო-ლოგისტიკურ დერეფნებში (თურქეთზე გამავალი ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულება) ჩართულობა, მათ შორის წელს უკვე მოდერნიზებული ბაქო-თბილისი-ყარსის (BTK) რკინიგზის ხაზით სარგებლობის (რომლის გამტარუნარიანობა ამ ეტაპზე შეადგენს 5 მლნ ტონას წელიწადში) და რუსეთის მიერ დღემდე ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გაჩერებული სარკინიგზო ხაზის აღდგენის მცდელობის კუთხითაც.

დაბოლოს, რუსეთი, დასავლეთთან მწვავე დაპირისპირების პირობებში, უფრო აქტიურად ეცდება, თავისი სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, გაზარდოს საკუთარი შემცირებული გავლენა და გადადგას ქმედითი ნაბიჯები, რათა შეაკავოს რეგიონში მოქმედი გლობალური და რეგიონული აქტორების აქტივობები, განსაკუთრებით აშშ-ის და ევროკავშირის, რადგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში მომხდარი ძვრების შედეგად ახლად წარმოქმნილი გეოპოლიტიკური ლანდშაფტის მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა.

გამოყენებული მასალები:

[1] TrendEconomy - Annual International Trade Statistics by Country (HS): Azerbaijan

<https://trendeconomy.com/data/h2/Azerbaijan/TOTAL>

[2] The State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan. 2024. “Inbound Tourism 2023”

https://www.stat.gov.az/source/tourism/en/bul/Inbound_tourism_2023.pdf

[3] The State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan. 2024. “Current state of tourism”. April 23,

2024. <https://www.stat.gov.az/news/index.php?lang=en&id=5858>

[4] AZERTAC. 2024. “Azerbaijan draws \$6.7 billion in FDI in 2023”. March 29, 2024.

https://azertag.az/en/xeber/azerbaijan_draws_67_billion_in_fdi_in_2023_video-2957473

Elvin Jamalov. “Azerbaijan attracts nearly \$7B in direct foreign investment in 2023”. *Report News Agency*.

March 29, 2024. [https://report.az/ru/finansy/azerbajdzhane-privlek-pochti-7-mlrd-dollarov-pryamyh-](https://report.az/ru/finansy/azerbajdzhane-privlek-pochti-7-mlrd-dollarov-pryamyh-inostrannyh-investicij-v-proshlom-godu/)

[inostrannyh-investicij-v-proshlom-godu/](https://report.az/ru/finansy/azerbajdzhane-privlek-pochti-7-mlrd-dollarov-pryamyh-inostrannyh-investicij-v-proshlom-godu/)

[5] Caliber.az. 2024. “Azerbaijan attracts \$6.7 billion in direct foreign investment in 2023”. March 29, 2024

<https://caliber.az/en/post/230782/>

[6] Andrey Petrov. “Peace in Southern Caucasus: What Awaits Russia in Azerbaijan?” *Russian International*

Affairs Council. February 8, 2024. [https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/mir-na-](https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/mir-na-yuzhnom-kavkaze-chto-zhdet-rossiyu-v-azerbaydzhane/)

[yuzhnom-kavkaze-chto-zhdet-rossiyu-v-azerbaydzhane/](https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/mir-na-yuzhnom-kavkaze-chto-zhdet-rossiyu-v-azerbaydzhane/)

[7] Илькин Шафиев. “Россия и Иран поспорили из-за Астары”. *Haqqin.az*. 6 февраля, 2024

<https://haqqin.az/news/307534>

[8] Ирина Федоровская. “Проблемы транспортных проектов Южного Кавказа”. *Russian International Affairs Council*. 16 февраля, 2024 <https://russiancouncil.ru/analytics-and-comments/analytics/problemy-transportnykh-proektov-yuzhnogo-kavkaza/>

[9] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. <https://www.geostat.ge>

[10] კომერსანტი. 2024. „ღვინის ექსპორტი ისტორიულ მაქსიმუმზეა - ზრდა რუსეთში რეკორდულმა გაყიდვებმა განაპირობა“. 21 მაისი, 2024.

<https://kommersant.ge/news/economic/ghvinis-eksporti-istoriul-maksimuzemzha-zrda-rusetshi-rekordulma-gayidvebma-ganapiroba>

[11] ინტერპრესნიუსი. 2024. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“. 2022 წელთან შედარებით 2023 წელს საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება შემცირდა, რაც ძირითადად ფულადი გზავნილების კლებამ განაპირობა“. 16 თებერვალი, 2024.

<https://www.interpressnews.ge/ka/article/787908-saertashoriso-gamchvirvaloba-sakartvelo-2022-celtan-shedarebit-2023-cels-sakartvelos-rusetze-ekonomikuri-damokidebuleba-shemcirada-rac-ziritadad-puladi-gzavnilebis-klebam-ganapiroba/>

[12] სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

<https://gnta.ge/ge/%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%a2%e1%83%98%e1%83%99%e1%83%90/>

[13] ინტერპრესნიუსი. „მარიამ ქვრივიშვილი რუსული ავიაკომპანიის მიერ ბაზარზე შემოტანილ წილზე - იქნება 1%, 3% თუ 5%, ყველა შედეგს მივესალმებით, რადგან თითოეულ პროცენტს აქვს თავისი კონკრეტული წილი ტურისტული ნაკადების გზაზე“. 5 მარტი, 2024.

<https://www.interpressnews.ge/ka/article/790168-mariam-kvrivishvili-rusuli-aviakompaniis-mier-bazarze-shemotani-cilze-ikneba-1-3-tu-5-qvela-shedegs-mivesalmebit-radgan-titoeul-procents-akvs-tavisi-konkretuli-cili-turistuli-nakadebis-gzaze>

[14] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პორტალი. <https://fdi.geostat.ge/>

[15] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. 2024. „საქართველოს რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება: 2023 წლის შეჯამება“. 16 თებერვალი, 2024.

<https://transparency.ge/ge/blog/sakartvelos-rusetze-ekonomikuri-damokidebuleba-2023-clis-shejameba>

[16] იქვე.

[17] შოთა ტყემელაშვილი. „2022 წელს რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში 6 000 ბინა იყიდეს, წელს - 2 000. *Business Media*. “13 აპრილი, 2024“. <https://bm.ge/news/2022-wels-rusetis-moqalaqeebma-saqartveloshi-6-000-bina-iyides-wels---2-000/131677>

[18] TrendEconomy - Annual International Trade Statistics by Country (HS): Armenia

<https://trendeconomy.com/data/h2/Armenia/TOTAL>

[19] Эхо Кавказа. 2024. “Россия и Грузия лидируют по числу туристов, посетивших Армению”. 5 февраля, 2024. <https://www.ekhokavkaza.com/a/32806218.html>

[20] Sputnik. 2023. „Прямые инвестиции в Армению из стран ЕАЭС в I квартале 2023-го выросли в 4,2 раза“. 20 сентября, 2023. <https://am.sputniknews.ru/20230920/pryamyie-investitsii-v-armeniyu-iz-stran-eaes-v-i-kvartale-2023-go-vyrosli-v-42-raza-66172205.html>

[21] Sputnik. 2024. „Отток денег из Армении в 2023 году вырос более чем в полтора раза“. 1 марта, 2024. <https://am.sputniknews.ru/20240301/ottok-deneg-iz-armenii-v-2023-godu-vyros-bolee-chem-v-poltora-raza-infografika-72958264.html>

[22] Владимир Кравченко. “Как и почему армения уходит от путина”. *Зеркало недели*. 26 февраля, 2024. <https://zn.ua/WORLD/kak-i-pochemu-armenija-ukhodit-ot-putina.html>